

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №125

2011 წლის 15 დეკემბერი

ქ. რუსთავი

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი 40 530.7 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის (დანართი №1, 2, 3).

1) გადასახადები 4 507.0 ათ. ლარი (დანართი №1, 3);

2) სხვა შემოსავლები 3 802.1 ათ. ლარი (დანართი №1, 3);

3) არაფინანსური აქტივების კლება 950.0 ათ. ლარი (დანართი №1, 3);

4. გრანტები 23 684.9 ათ. ლარი (დანართი №1, 2, 3);

ა) გათანაბრებითი ტრანსფერი 14 684.9 ათ. ლარი;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 500.0 ათ. ლარი;

გ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები 7 700.0 ათ. ლარი (დანართი 13);

დ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები 800.0 ათ. ლარი (დანართი №3).

5) ფინანსური აქტივების კლება 7 586.7 ათ. ლარი (დანართი №1).

*თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის დადგენილება №134 - ვებგვერდი, 20.01.2012 წ.*

*თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის დადგენილება №135 - ვებგვერდი, 01.02.2012 წ.*

*თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის დადგენილება №144 - ვებგვერდი, 16.02.2012 წ.*

*თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 22 თებერვლის დადგენილება №147 - ვებგვერდი, 23.02.2012 წ.*

*თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 5 მარტის დადგენილება №148 - ვებგვერდი, 09.03.2012 წ.*

*თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 20 მარტის დადგენილება №151 - ვებგვერდი, 22.03.2012 წ.*

*თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 11 აპრილის დადგენილება №154 - ვებგვერდი, 12.04.2012 წ.*

### მუხლი 2

დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 40 530.7 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის (დანართი №1, 2, 4).

1. შრომის ანაზღაურების მუხლი 3 576.1 ათ. ლარი (დანართი №1, 4);

2. საქონელი და მომსახურების მუხლი 8 424.9 ათ. ლარი (დანართი №1, 4);

3. პროცენტის მუხლი 800.0 ათ. ლარი (დანართი №4);

4. სუბსიდიების მუხლი 8 144.4 ათ. ლარი (დანართი №1, 4);

5. გრანტების მუხლი 4 450.0 ათ. ლარი (დანართი №4);

6. სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 2 588.5 ათ. ლარი (დანართი №1, 4);

7. სხვა ხარჯების მუხლი 4 399.5 ათ. ლარი (დანართი №1, 4);

8. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 7 447.3 ათ. ლარი (დანართი №1, 4).

9. ვალდებულებების კლების მუხლი 700.0 ათ. ლარი (დანართი №4).

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის დადგენილება №134 - ვებგვერდი, 20.01.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის დადგენილება №135 - ვებგვერდი, 01.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის დადგენილება №144 - ვებგვერდი, 16.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 22 თებერვლის დადგენილება №147 - ვებგვერდი, 23.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 5 მარტის დადგენილება №148 - ვებგვერდი, 09.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 20 მარტის დადგენილება №151 - ვებგვერდი, 22.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 11 აპრილის დადგენილება №154 - ვებგვერდი, 12.04.2012 წ.

### **მუხლი 3**

დამტკიცდეს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 200.0 ათ. ლარის ოდენობით (დანართი №4).

### **მუხლი 4**

**თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები**

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

1. თვითმმართველობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება შიდა გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია, რაც გაზრდის შიდა სატრანსპორტო მიმოსვლას და მნიშვნელოვნად აამაღლებს ქალაქის ეკონომიკურ აქტივობას.

2. ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავაც პრიორიტეტულია ქალაქის გარემოს დაცვა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარება: მომდევნო წლის განმავლობაში აქტიურ ფაზაში გადავა ახალი ნაგავსაყრელის ფუნქციონირება, რაც გააუმჯობესებს ქალაქში ეკოლოგიურ მდგომარეობას; საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდება სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და გამოიცვლება კორპუსების სარდაფებში წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური გაყვანილობა. ამხანაგობების ფარგლებში თითოეული ამხანაგობა დაინტერესდება საკუთარი ეზოსა და შემოგარენის მოვლაში, რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის ქალაქის ცხოვრების რიტმს; გაგრძელდება ქალაქში გარე განათებების მოწყობა-რეაბილიტაცია.

3. აქტუალურია მრავალსართულიან კორპუსებში ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა შეკეთებაც კვლავ გაგრძელდება 2012 წლის განმავლობაში.

4. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქი რუსთავისათვისაც ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, რის შედეგადაც ქალაქში იფუნქციონირებს კეთილმოწყობილი და ბავშვთა მოვლისა და აღზრდისათვის საჭირო პირობებით უზრუნველყოფილი საბავშვო ბაღები.

5. პრიორიტეტად რჩება საბავშვო და სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია. დაგეგმილია საცურაო აუზის რეაბილიტირება, რაც უდავოდ განავითარებს ინფრასტრუქტურას და ხელს შეუწობს რუსთავში მცხოვრები მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

6. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მნიშვნელოვან და მტკივნეულ პრობლემად რჩება სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის სოციალური დაცვა. ამ მხრივ ხორციელდება მთელი რიგი პროგრამები, რომლებიც ემსახურება ქალაქში სოციალური ფონის გაუმჯობესებას და მოსახლეობის დახმარებას სხვადასხვა სახით: უფასო სასაბავშვო დაფინანსება, მოსახლეობისათვის შეღავათები სასმელი წყლის გადასახადზე და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალურ

ტრანსპორტზე შეღავათი, ახალი ცხოვრების დასაწყისი – ქუჩის ბავშვების პროექტი, მუნიციპალურ მოხუცთა სახლის დაფინანსება, მოქალაქეთა მედიკამენტების დახმარება, ვეტერანების, საჯარო სკოლების, მუნიციპალური თეატრისა და ააიპ-ების თანამშრომლების მუნიციპალურ ტრანსპორტზე მგზავრობის შეღავათები, მრავალშვილიანების დახმარება და სხვა.

ყოველივე ზემოხსენებული ღონისძიებების განხორციელების მიზანი არის რუსთავის ინფრასტრუქტურის განვითარება და ინვესტორთა წინაშე ეკონომიკურად მდგრადი ქალაქის წარმოჩენა, რაც მოიზიდავს მეტ კაპიტალდაბანდებებს და შექმნის მუდმივ სამუშაო ადგილებს. ეს უკანასკნელი გამოიწვევს ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას და მოსახლეობაში შემცირდება სოციალურად გაჭირვებულთა ფენა, რაც, პირველ ყოვლისა ქალაქის განვითარებაზე დადებითად აისახება.

### **მუხლი 5**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის მუხლით პროგრამული დაფინანსება განხორციელდეს: ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების“, შპს „რუსთავის მუნიციპალური თეატრის“, ააიპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმის“, ააიპ „ილია ჭავჭავაძის სახ. საბიბლიოთეკო გაერთიანება – მთავარი ბიბლიოთეკის“, ააიპ „კულტურის ცენტრის“, ააიპ „ქ. რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანების“, ააიპ „რაგბის კლუბ „რუსთავის ხარების“, ააიპ „უზრუნველყოფის“ და ააიპ „რუსთავის კორპუსის“. ასევე დაფინანსდეს სუბსიდიის მუხლიდან შპს „მუნიციპალური ავტოტრანსპორტის“ დოტაცია, შპს „ნაგავსაყრელი“ და მეუფის რეზიდენცია.

### **მუხლი 6**

ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანების“ სუბსიდირებით მოხდეს მომუშავეთა ხელფასების 100%-ით დაფინანსება.

### **მუხლი 7**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდეს შპს „მუნიციპალური მოხუცთა სახლის“ ყველა მობინადრე და ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ ყველა მოსწავლე.

### **მუხლი 8**

სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დადგინდეს შეღავათები და დახმარებები 2012 წლის განმავლობაში:

1. სასმელი წყლის გადასახადისაგან 100%-ით გათავისუფლდეს 0-57000 სარეიტინგო ქულის მქონე ფიზიკური პირები;
2. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის გადასახადისაგან 100%-ით გათავისუფლდეს 0-57000 სარეიტინგო ქულის მქონე ფიზიკური პირები;
3. მუნიციპალური ავტოტრანსპორტის გადასახადისაგან გათავისუფლდნენ 0-150000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები 100%-ით;
4. სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს (4 და მეტი შვილი 18 წლამდე) მიეცეთ ყოველთვიური მატერიალური დახმარება (თითოეულ შვილზე 20 ლარი).
5. მარტოხელა სოციალურად დაუცველ პირთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

### **მუხლი 9**

„ახალი ცხოვრების დასაწყისი – ქუჩის ბავშვების პროექტი“, ინდივიდუალური და მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამები დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

### **მუხლი 10**

ქალაქ რუსთავში მცხოვრები ყველა ვეტერანი გათავისუფლდეს მუნიციპალური ავტოტრანსპორტით მგზავრობის გადასახადისგან.

### **მუხლი 11**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდეს მინიმალური სასურსათო პროგრამით განსაზღვრული უფასო ყოველდღიური კვება და მედიკამენტებით დახმარების პროგრამა.

## **მუხლი 12**

ქალაქ რუსთავის უხუცეს დღეგრძელთა (100 და მეტი ასაკის) დახმარების პროგრამა დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

## **მუხლი 13**

მუნიციპალური ავტოტრანსპორტის გადასახადისაგან გათავისუფლდნენ საჯარო სკოლების, მუნიციპალური თეატრისა და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ააიპ-ების თანამშრომლები.

## **მუხლი 14**

ინდივიდუალური დახმარების პროგრამით დაფინანსდეს მინდობითი ოჯახების კომუნალური (წყალი, ბუნებრივი აირი, ელ. ენერჯია) ხარჯები.

## **მუხლი 15**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდეს საბრძოლო ოპერაციებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის და დიდი სამამულო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა მატერიალური დახმარებები.

## **მუხლი 16**

დაევალოს საფინანსო სამსახურს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების გადასახდელების დაფინანსება განახორციელოს ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწვევის წესის შესაბამისად.

## **მუხლი 17**

დაევალოს ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და სამსახურების ხელმძღვანელებს ბიუჯეტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში უზრუნველყონ საფინანსო გეგმებისა და ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვების წარდგენა საფინანსო სამსახურში.

## **მუხლი 18**

დაევალოს საფინანსო სამსახურს უზრუნველყოს წლიური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების კვარტალური განწერა.

## **მუხლი 19**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის №47 დადგენილება.

## **მუხლი 20**

დადგენილება ძალაშია 2012 წლის 1 იანვრიდან.

## **საკრებულოს თავმჯდომარე კ. გურგენიძე**

### **შეტანილი ცვლილებები:**

1. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის დადგენილება №134 - ვებგვერდი, 20.01.2012 წ.
2. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის დადგენილება №135 - ვებგვერდი, 01.02.2012 წ.
3. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის დადგენილება №144 - ვებგვერდი, 16.02.2012 წ.
4. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 22 თებერვლის დადგენილება №147 - ვებგვერდი, 23.02.2012 წ.
5. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 5 მარტის დადგენილება №148 - ვებგვერდი, 09.03.2012 წ.
6. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 20 მარტის დადგენილება №151 - ვებგვერდი, 22.03.2012 წ.

7. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 11 აპრილის დადგენილება №154 - ვებგვერდი, 12.04.2012 წ.

დანართი №1

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის 2012 წლის ბიუჯეტი

ათ. ლარები

დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
შემოსავლები	26,171.1	36,902.7	31,994.0	26,696.0	27,127.0	29,008.2
გადასახადები	5,085.9	6,086.3	4,507.0	4,300.0	4,400.0	4,500.0
გრანტები	16,710.2	26,647.4	23,684.9	19,050.0	19,100.0	20,650.0
სხვა შემოსავლები	4,374.9	4,169.0	3,802.1	3,346.0	3,627.0	3,858.2
ხარჯები	18,721.4	26,369.1	32,383.4	24,906.6	25,757.8	26,940.6
შრომის ანაზღაურება	2,619.7	3,166.3	3,576.1	3,675.0	3,862.0	4,078.0
საქონელი და მომსახურება	6,843.8	6,915.3	8,424.9	8,190.3	8,722.1	9,198.9
პროცენტი	279.4	1,002.7	800.0	800.0	750.0	700.0
სუბსიდიები	3,002.3	4,630.1	8,144.4	4,930.0	4,740.0	4,800.0
გრანტები	0.0	6,200.0	4,450.0	4,500.0	4,700.0	5,000.0
სოციალური უზრუნველყოფა	2,971.7	2,415.9	2,588.5	2,724.4	2,873.7	3,035.7
სხვა ხარჯები	3,004.5	2,038.9	4,399.5	87.0	110.0	128.0
საოპერაციო სალდო	7,449.7	10,533.6	-389.4	1,789.4	1,369.2	2,067.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,052.0	4,773.4	6,497.3	1,289.4	919.2	1,667.6
ზრდა	8,436.5	8,559.2	7,447.3	1,639.4	1,169.2	1,817.6
კლება	1,384.6	3,785.8	950.0	350.0	250.0	150.0
მთლიანი სალდო	397.7	5,760.1	-6,886.7	500.0	450.0	400.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,418.5	-2,249.1	-7,586.7	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები						
სესხები						
აქციები და სხვა კაპიტალი						
კლება	1,418.5	2,249.1	7,586.7	0.0	0.0	0.0

ვალუტა და დეპოზიტები	1,418.5	1,300.1	7,586.7			
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	949.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-382.8	-520.8	-700.0	-500.0	-450.0	-400.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	382.8	520.8	700.0	500.0	450.0	400.0
საგარეო						
საშინაო	382.8	520.8	700.0	500.0	450.0	400.0
ბალანსი	1,433.4	7,488.4	0.0	0.0	0.0	0.0

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის დადგენილება №134 - ვებგვერდი, 20.01.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის დადგენილება №135 - ვებგვერდი, 01.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის დადგენილება №144 - ვებგვერდი, 16.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 22 თებერვლის დადგენილება №147 - ვებგვერდი, 23.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 5 მარტის დადგენილება №148 - ვებგვერდი, 09.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 20 მარტის დადგენილება №151 - ვებგვერდი, 22.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 11 აპრილის დადგენილება №154 - ვებგვერდი, 12.04.2012 წ.

დანართი №2

### თვითმმართველი ქალაქი რუსთავის შემოსულობები და გადასახდელები

დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
შემოსულობები	27,555.6	41,637.5	32,944.0	27,046.0	27,377.0	29,158.2
შემოსავლები	26,171.1	36,902.7	31,994.0	26,696.0	27,127.0	29,008.2
არაფინანსური აქტივების კლება	1,384.6	3,785.8	950.0	350.0	250.0	150.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	949.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	27,540.7	35,449.2	40,530.7	27,046.0	27,377.0	29,158.2
ხარჯები	18,721.4	26,369.1	32,383.4	24,906.6	25,757.8	26,940.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,436.5	8,559.2	7,447.3	1,639.4	1,169.2	1,817.6

ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	382.8	520.8	700.0	500.0	450.0	400.0
ნაშთის ცვლილება	14.9	6,188.3	-7,586.7	0.0	0.0	0.0

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის დადგენილება №134 - ვებგვერდი, 20.01.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის დადგენილება №135 - ვებგვერდი, 01.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის დადგენილება №144 - ვებგვერდი, 16.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 22 თებერვლის დადგენილება №147 - ვებგვერდი, 23.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 5 მარტის დადგენილება №148 - ვებგვერდი, 09.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 20 მარტის დადგენილება №151 - ვებგვერდი, 22.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 11 აპრილის დადგენილება №154 - ვებგვერდი, 12.04.2012 წ.

დანართი №3

### თვითმმართველი ქალაქი რუსთავის შემოსულობები

შემოსულობების კოდები	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
	შემოსულობები	27,555.6	41,637.5	32,944.0	27,046.0	27,377.0	29,158.2
	შემოსავლები	26,171.1	36,902.7	31,994.0	26,696.0	27,127.0	29,008.2
	არაფინანსური აქტივების კლება	1,384.6	3,785.8	950.0	350.0	250.0	150.0
	ფინანსური აქტივების კლება	0.0	949.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შემოსავლები	26,171.1	36,902.7	31,994.0	26,696.0	27,127.0	29,008.2
11	გადასახადები	5,085.9	6,086.3	4,507.0	4,300.0	4,400.0	4,500.0
11311	ქონების გადასახადი	5,086.6	6,084.8	4,507.0	4,300.0	4,400.0	4,500.0
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,588.0	5,133.8	3,300.0	3,100.0	3,150.0	3,200.0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0				
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	85.4	86.4	60.0	50.0	50.0	60.0
	სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	27.9	52.7	5.0			
	არასასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,385.2	811.6	1,140.0	1,150.0	1,200.0	1,240.0
	სხვა გადასახადები ქონებაზე	0.1	0.1	2.0			
116	სხვა გადასახადები	-0.7	1.5				
13	გრანტები	16,710.2	26,647.4	23,684.9	19,050.0	19,100.0	20,650.0
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის	16,710.2	26,647.4	23,684.9	19,050.0	19,100.0	20,650.0

	ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები						
	გათანაბრებითი ტრანსფერი	11,148.2	17,041.4	14,684.9	18,500.0	18,500.0	20,000.0
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	462.0	500.0	500.0	550.0	600.0	650.0
	სპეციალური ტრანსფერი	5,100.0	9,106.0	8,500.0	0.0	0.0	0.0
	მ.შ. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	100.0	1,106.0	800.0			
	მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	5,000.0	8,000.0	7,700.0			
14	სხვა შემოსავლები	4,374.9	4,169.0	3,802.1	3,346.0	3,627.0	3,858.2
141	შემოსავლები საკუთრებიდან	102.1	130.6	60.0	70.0	80.0	90.0
	პროცენტები	28.3					
	დივიდენდები		43.1	10.0	10.0	10.0	10.0
	რენტა	73.7	87.5	50.0	60.0	70.0	80.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	68.8	48.4	50.0	50.0	55.0	60.0
14154	შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5.0	39.1		10.0	15.0	20.0
142	საქონელი და მომსახურების რეალიზაცია	2,761.8	2,744.9	2,711.0	2,571.0	2,691.0	2,811.2
	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2,688.0	2,644.3	2,671.0	2,531.0	2,641.0	2,751.2
	სანებართვო მოსაკრებელი	62.6	53.7	50.0	30.0	40.0	50.0
	სახელმწიფო ბაჟი	0.1	0.0				
	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0				
	სატენდერო მოსაკრებელი	27.0					
	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.4	3.2	1.0	1.0	1.0	1.2
	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,629.4	1,583.8	1,600.0	1,400.0	1,500.0	1,600.0
	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	967.0	1,003.6	1,020.0	1,100.0	1,100.0	1,100.0
	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	-0.6	0.0				
	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	73.8	100.6	40.0	40.0	50.0	60.0
	შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	73.8	100.6	40.0	40.0	50.0	60.0
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,497.2	1,280.2	1,010.0	700.0	850.0	950.0
144	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0.7	10.1				
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	13.1	3.2	21.1	5.0	6.0	7.0
31	არაფინანსური აქტივების კლება	1,384.6	3,785.8	950.0	350.0	250.0	150.0
311	ძირითადი აქტივები	658.3	437.4	400.0	200.0	150.0	100.0



314	არაწარმოებული აქტივები	726.3	3,348.4	550.0	150.0	100.0	50.0
	მიწა	726.3	3,348.4	550.0	150.0	100.0	50.0
32	ფინანსური აქტივების კლება	0.0	949.0	0.0	0.0	0.0	0.0
	აქციები და სხვა კაპიტალი		949.0				

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 17 იანვრის დადგენილება №134 - ვებგვერდი, 20.01.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის დადგენილება №135 - ვებგვერდი, 01.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 15 თებერვლის დადგენილება №144 - ვებგვერდი, 16.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 22 თებერვლის დადგენილება №147 - ვებგვერდი, 23.02.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 5 მარტის დადგენილება №148 - ვებგვერდი, 09.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 20 მარტის დადგენილება №151 - ვებგვერდი, 22.03.2012 წ.

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2012 წლის 11 აპრილის დადგენილება №154 - ვებგვერდი, 12.04.2012 წ.

#### დანართი №4

### თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ხარჯები

ათ. ლარებში

ორგ. კოდი	დასახელება	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის პროგნოზი	2014 წლის პროგნოზი	2015 წლის პროგნოზი
<b>სულ</b>	<b>რუსთავი</b>	<b>27,540.7</b>	<b>35,449.2</b>	<b>40,530.7</b>	<b>27,046.0</b>	<b>27,377.0</b>	<b>29,158.2</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	356	459	459	459	459	459
	ხარჯები	18,721.4	26,369.1	32,383.4	24,906.6	25,757.8	26,940.6
	შრომის ანაზღაურება	2,619.7	3,166.3	3,576.1	3,675.0	3,862.0	4,078.0
	საქონელი და მომსახურება	6,843.8	6,915.3	8,424.9	8,190.3	8,722.1	9,198.9
	პროცენტი	279.4	1,002.7	800.0	800.0	750.0	700.0
	სუბსიდიები	3,002.3	4,630.1	8,144.4	4,930.0	4,740.0	4,800.0
	გრანტები	0.0	6,200.0	4,450.0	4,500.0	4,700.0	5,000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	2,971.7	2,415.9	2,588.5	2,724.4	2,873.7	3,035.7
	სხვა ხარჯები	3,004.5	2,038.9	4,399.5	87.0	110.0	128.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,436.5	8,559.2	7,447.3	1,639.4	1,169.2	1,817.6
	ვალდებულებების კლება	382.8	520.8	700.0	500.0	450.0	400.0
<b>01 00</b>	<b>თვითმმართველობის ორგანოები</b>	<b>4,698.7</b>	<b>12,443.6</b>	<b>12,562.5</b>	<b>12,043.2</b>	<b>12,400.7</b>	<b>12,966.5</b>
	მომუშავეთა რიცხოვნობა	265	363	363	363	363	363
	ხარჯები	4,190.7	11,810.6	11,683.2	11,410.8	11,865.9	12,540.9
	შრომის ანაზღაურება	1,924.0	2,446.6	2,833.7	2,905.0	3,032.0	3,228.0
	საქონელი და მომსახურება	1,908.8	2,008.5	3,561.6	3,162.6	3,338.9	3,562.9
	პროცენტი	279.4	1,002.7	800.0	800.0	750.0	700.0
	გრანტები	0.0	6,200.0	4,450.0	4,500.0	4,700.0	5,000.0
	სოციალური უზრუნველყოფა	71.7	136.0	17.5	21.2	20.0	22.0
	სხვა ხარჯები	6.8	16.8	20.5	22.0	25.0	28.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	125.2	112.2	179.2	132.4	84.8	25.6

	ვალდებულებების კლება	382.8	520.8	700.0	500.0	450.0	400.0
01 01	ქ. რუსთავის საკრებულო	1,113.2	2,423.8	3,389.9	3,322.8	3,397.5	3,486.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	57	100	100	100	100	100
	ხარჯები	1,073.1	2,319.1	3,210.6	3,190.4	3,312.7	3,461.2
	შრომის ანაზღაურება	364.9	613.2	747.2	800.0	830.0	890.0
	საქონელი და მომსახურება	703.0	1,690.5	2,437.9	2,359.4	2,449.7	2,534.2
	სოციალური უზრუნველყოფა	5.2	6.8	5.0	9.0	8.0	9.0
	სხვა ხარჯები	0.0	8.6	20.5	22.0	25.0	28.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	40.2	104.7	179.2	132.4	84.8	25.6
01 02	ქ. რუსთავის მერია	2,893.6	2,296.4	2,591.2	2,635.2	2,768.0	2,944.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	208	263	263	263	263	263
	ხარჯები	2,808.5	2,288.8	2,591.2	2,635.2	2,768.0	2,944.5
	შრომის ანაზღაურება	1,559.2	1,833.4	2,086.4	2,105.0	2,202.0	2,338.0
	საქონელი და მომსახურება	1,176.1	288.3	492.2	518.0	554.0	593.5
	პროცენტი	0.0	29.8	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	66.5	129.2	12.5	12.2	12.0	13.0
	სხვა ხარჯები	6.8	8.2	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	85.1	7.5	0.0	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	350.0	250.0	300.0	400.0
	ხარჯები	0.0	0.0	350.0	250.0	300.0	400.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	350.0	250.0	300.0	400.0
01 04	მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მომსახურების ხარჯები	29.8	29.8	31.2	35.2	35.2	35.2
	ხარჯები	29.8	29.8	31.2	35.2	35.2	35.2
	საქონელი და მომსახურება	29.8	29.8	31.2	35.2	35.2	35.2
01 05	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა	662.2	1,493.7	1,500.0	1,300.0	1,200.0	1,100.0
	ხარჯები	279.4	972.9	800.0	800.0	750.0	700.0
	პროცენტი	279.4	972.9	800.0	800.0	750.0	700.0
	ვალდებულებების კლება	382.8	520.8	700.0	500.0	450.0	400.0
01 06	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის	0.0	6,200.0	4,450.0	4,500.0	4,700.0	5,000.0
	ხარჯები	0.0	6,200.0	4,450.0	4,500.0	4,700.0	5,000.0
	გრანტები	0.0	6,200.0	4,450.0	4,500.0	4,700.0	5,000.0
01 07	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0.0	0.0	250.2	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	250.2	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	250.2	0.0	0.0	0.0
02 00	სახანძრო დაცვის სამსახური	625.8	639.7	699.2	750.0	900.0	1,000.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	69	72	72	72	72	72
	ხარჯები	622.6	629.9	696.6	720.0	841.3	849.2
	შრომის ანაზღაურება	557.2	564.1	566.7	600.0	650.0	650.0

	საქონელი და მომსახურება	51.2	55.8	102.4	91.5	152.3	155.2
	სოციალური უზრუნველყოფა	14.2	1.5	6.0	3.5	4.0	4.0
	სხვა ხარჯები	0.0	8.4	21.5	25.0	35.0	40.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.2	9.8	2.6	30.0	58.7	150.8
03 00	შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება	141.1	313.3	170.0	150.0	130.0	100.0
	ხარჯები	136.1	313.3	161.9	150.0	130.0	100.0
	საქონელი და მომსახურება	136.1	116.2	161.9	150.0	130.0	100.0
	სუბსიდიები		197.1				
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.1	0.0	8.1	0.0	0.0	0.0
04 00	თავდაცვის ღონისძიებები	260.7	258.4	324.3	320.0	350.0	380.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22	24	24	24	24	24
	ხარჯები	258.7	256.4	322.8	317.7	347.4	377.3
	შრომის ანაზღაურება	138.5	155.5	175.7	170.0	180.0	200.0
	საქონელი და მომსახურება	120.3	99.5	147.0	146.2	165.9	175.8
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	1.3	0.0	1.5	1.5	1.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.0	2.0	1.6	2.3	2.6	2.7
04 01	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	260.7	258.4	324.3	320.0	350.0	380.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	22	24	24	24	24	24
	ხარჯები	258.7	256.4	322.8	317.7	347.4	377.3
	შრომის ანაზღაურება	138.5	155.5	175.7	170.0	180.0	200.0
	საქონელი და მომსახურება	120.3	99.5	147.0	146.2	165.9	175.8
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	1.3	0.0	1.5	1.5	1.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.0	2.0	1.6	2.3	2.6	2.7
05 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	15,386.3	16,210.4	20,442.8	7,679.7	7,163.1	7,938.5
	ხარჯები	7,199.2	7,958.2	13,186.9	6,205.0	6,140.0	6,300.0
	საქონელი და მომსახურება	3,950.3	3,929.4	4,088.0	4,215.0	4,480.0	4,720.0
	სუბსიდიები	405.8	2,015.2	4,741.5	1,950.0	1,610.0	1,520.0
	სხვა ხარჯები	2,843.1	2,013.6	4,357.4	40.0	50.0	60.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,187.1	8,252.2	7,255.9	1,474.7	1,023.1	1,638.5
05 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი	4,281.2	1,493.8	3,120.0	1,304.7	803.1	1,388.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,281.2	1,493.8	3,120.0	1,304.7	803.1	1,388.5
05 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	101.6	0.0	100.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	101.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	12.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	89.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	100.0	0.0	0.0	0.0
05 03	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	126.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	116.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

	საქონელი და მომსახურება	26.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	89.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 04	შენიშვნების სახურავების რეაბილიტაცია	1,133.9	151.3	200.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	1,133.9	151.3	200.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	1,133.9	151.3	200.0	0.0	0.0	0.0
05 05	ლიფტების რეაბილიტაცია	596.4	281.5	3,679.7	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	596.4	281.5	3,679.7	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	596.4	281.5	3,679.7	0.0	0.0	0.0
05 06	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,457.2	1,713.6	1,287.0	1,680.0	1,770.0	1,840.0
	ხარჯები	1,014.8	1,283.8	1,287.0	1,620.0	1,680.0	1,740.0
	საქონელი და მომსახურება	1,014.8	1,283.8	1,287.0	1,620.0	1,680.0	1,740.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	442.4	429.7	0.0	60.0	90.0	100.0
05 07	დასუფთავების ღონისძიებები	1,847.0	1,802.3	1,967.4	2,000.0	2,100.0	2,200.0
	ხარჯები	1,653.6	1,802.3	1,967.4	2,000.0	2,100.0	2,200.0
	საქონელი და მომსახურება	1,653.6	1,802.3	1,967.4	2,000.0	2,100.0	2,200.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	193.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 08	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის დოტაცია	305.0	110.0	200.0	250.0	270.0	280.0
	ხარჯები	210.0	110.0	200.0	250.0	270.0	280.0
	სუბსიდიები	210.0	110.0	200.0	250.0	270.0	280.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	95.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 09	საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია	154.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	154.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	154.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 10	შადრევნების მოვლა-პატრონობა	97.2	85.5	91.7	150.0	180.0	200.0
	ხარჯები	97.2	85.5	91.7	150.0	180.0	200.0
	საქონელი და მომსახურება	97.2	85.5	91.7	150.0	180.0	200.0
05 11	გამწვანებისა და გადაბეღვის ხარჯები	233.5	194.0	286.0	335.0	390.0	430.0
	ხარჯები	233.5	194.0	286.0	335.0	390.0	430.0
	საქონელი და მომსახურება	233.5	194.0	286.0	335.0	390.0	430.0
05 12	გადაბეღვის ხარჯები	44.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	44.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	44.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 13	სატყეო და სანერგე მეურნეობის მოვლა	39.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	39.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	39.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 14	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	104.8	183.0	187.4	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	119.7	172.4	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	104.0	172.4	0.0	0.0	0.0

	სხვა ხარჯები	0.0	15.7	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104.8	63.3	15.0	0.0	0.0	0.0
05 15	მოხეტიალე ძალღების თავშესაფარში გაყვანის მომსახურება	19.0	19.6	34.0	50.0	60.0	70.0
	ხარჯები	19.0	19.6	34.0	50.0	60.0	70.0
	საქონელი და მომსახურება	19.0	19.6	34.0	50.0	60.0	70.0
05 16	საბავშვო და სპორტული მოედნების მოწყობა და ძველი მოედნების აღდგენა	837.1	53.9	1,055.9	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	837.1	53.9	1,055.9	0.0	0.0	0.0
05 17	საახალწლოდ გასაფორმებელი სადეკორაციო ხარჯი და დეკორაციების დემონტაჟი	177.6	86.2	14.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	118.3	22.7	14.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	118.3	22.7	14.0	0.0	0.0	0.0
